1. მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ყუთს, რომელიც ფოტოზეა გამოსახული, შიგნიდან გვერდით წახნაგებზე უნდა მიაკრან წითელი ფერის ქაღალდები, ხოლო ქვედა ფუძეზე ყვითელი ფერის. რამდენი სმ³ წითელი და ყვითელი ქაღალდები იქნება საჭირო, თუ ყუთის სიგრძეა 75სმ, სიგანე - 35სმ და სიმაღლე -45სმ?

წითელი ფერის	სმ²	ყვითელი ფერის	სმ²

2.სურათზე გამოსახული თევზების აკვარიუმის ფსკერის ფართობია 210სმ². რამდენი სმ³ წყალი ხვდება წილად თითოეულს, თუ აკვარიუმის სიმაღლეა 25სმ?

სმ³



3.ოთახის ზომები ნახაზზეა მოცემული. კედლები უნდა შეიღებოს ლურჯად, ხოლო იატაკი - ყავისფრად. რამდენი გრამი თითოეული ფერის საღებავი იქნება საჭირო, თუ 1მ²-ის შესაღებად საჭიროა 300გ საღებავი?

ლურჯი ფერის	გ	ყავისფერი ფერის	გ

4.ყინულის კუბების დასამზადებლად იყენებენ სურათზე გამოსახულ ფორმებს. 1 კუბისთვის საჭიროა 27სმ³ წყალი. რამდენი სმ³ წყალი იქნება საჭირო 2 ფორმის შესავსებად?

სმ³

5.საჭიროა ღია მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის აუზის დასუფთავება. ყოველი 1მ²-ის დასასუფთავებლად საჭიროა 100გრამი სადეზინფექციო ხსნარი. რამდენი გრამი სადეზინფექციო ხსნარი იქნება საჭირო მის მთლიანად დასასუფთავებლად, თუ მისი სიგრძეა 6მ, სიგანე - 4მ და სიმაღლე - 1,8მ?

გ